საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1 15 აგვისტო 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 111

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურში გამწვევი კომისიის შექმნისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის V-ე თავისშესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევისათვის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურში შეიქმნას გამწვევი კომისია.

1. გამწვევი კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს:

ა) ალეკო მამეშვილი - კომისიის თავმჯდომარე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

ბ) ილია ლეჟავა - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის უფროსი;

გ) კომისიის წევრები:

გ.ა) გოჩა ფერსაშვილი – საქართველო შ.ს.ს. გურიის მთავარი სამმართველოს ოზურგეთის რაიონული პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე;

გ.ბ) ნათია ვაშალომიძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ლტოლვილთა და იძულებით გადადგილებულ პირთა სამსახურის უფროსი;

გ.გ) დავით როყვა - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

გ.დ) მანანა კოპლატაძე – შ.პ.ს. „ოზურგეთის ცენტრალური ამბოლატორიული პოლიკლინიკის“ დირექტორი;

დ) ციალა სირაძე - კომისიის მდივანი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

Created by free version of DocuFreezer

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

მუხლი 3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ალეკო მამეშვილი**

Created by free version of DocuFreezer